საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება N 375

20/11/2015

საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – შემოსავლების სამსახურზე არაფინანსური
(ძირითადი და გრძელვადიანი მცირეფასიანი ინვენტარი-ტექნიკა) აქტივების გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების და „უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 ივნისის №175 ბრძანებით დამტკიცებული, დანართი №2-ის, მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის "გ.ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გადაეცეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ, ბალანსიდან ბალანსზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე არსებული, ამ ბრძანების დანართში მითითებული, არაფინანსური (ძირითადი და გრძელვადიანი მცირეფასიანი ინვენტარი-ტექნიკა) აქტივები, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 511823 (ხუთას თერთმეტი ათას რვაას ოცდასამი) ლარი.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველომ (ზ.წითლაური) უზრუნველყოს, ამ ბრძანების დანართში მითითებული, არაფინანსური (ძირითადი და გრძელვადიანი მცირეფასიანი ინვენტარი-ტექნიკა) აქტივების გადაცემა.

3. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – შემოსავლების სამსახურმა (გ.ცქვიტინიძე) უზრუნველყოს, ამ ბრძანების დანართში მითითებული, არაფინანსური (ძირითადი და გრძელვადიანი მცირეფასიანი ინვენტარი-ტექნიკა) აქტივების მიღება.

4. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურთან, ამ ბრძანების დანართში მითითებულ ქონებაზე.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.

საფუძველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 18 ნოემბრის №165239-21 წერილი.

გიორგი თაბუაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე